

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს სთორქ აივიუზ

2021 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

სს სთორქ აივიფის დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს სთორქ აივიფი (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში განხილული საკითხებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად;

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, შესაბამისად, ვერ მოვახდინეთ საანგარიშგებო წლის დასაწყისში და ბოლოს მარაგების ფიზიკურ დათვლაზე დაკვირვება. ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს არსებული მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 162,796 ლარით და 40,402 ლარით, თარიღების შესაბამისად. ამ საკითხთან მიმართებაში, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ საჭიროებს თუ არა, ან რა ოდენობის კორექტირებას საჭიროებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ან აღურიცხავი მარაგები და მასთან დაკავშირებული მუხლები, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ზემოთ უკვე აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ მოვახდინეთ დაკვირვება ძირითადი საშუალებების ფიზიკურ დათვლაზე წლის დასაწყისში და ბოლოს. ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება ძირითად საშუალებებში შემავალი ჯგუფის „ავეჯი და საოფისე ტექნიკა“ 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს არსებულ ღირებულებაზე, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბერს ასახულია 1,198,567 ლარად, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრისთვის 1,348,670 ლარად.

გარდა ამისა, 2020 წლის განმავლობაში შერწყმის შედეგად (იხ. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 4 და 23) ძირითად საშუალებებს დაემატა 1,420,093 ლარის ოდენობის „ავეჯი და საოფისე ტექნიკა“. ეს ქონება შეტანილ იქნა გაერთიანებული კომპანიის კაპიტალში, როგორც არაფულადი შენატანი,

რომელიც შეფასდა რეალური/სამართლიანი ღირებულებით შენატანის თარიღისთვის, 1,102,700 ლარად.

სამედიცინო აღჭურვილობის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ანგარიშში გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და შეფასების წყაროების წარმოდგენლობის გამო, ჩვენ ვერ დავრწმუნდით, იყო თუ არა ამ აქტივების შეფასება შესაბამისობაში შეფასების საერთაშორისო სტანდარტების (IVS) და ფასს 13-ის, „სამართლიანი ღირებულების შეფასება“ მოთხოვნებთან.

ზემოთ განხილულ საკითხთან მიმართებაში, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ რა ოდენობის კორექტირებას საჭიროებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, ასევე მასთან დაკავშირებული ელემენტებისთვის/მუხლებისთვის რაც წარდგენილია სხვა სრულის შემოსავლის ანგარიშგებაში, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

როგორც აღწერილია 9 და 16.1 პენიშვნებში, კომპანიაში მიმდინარეობს დავა და ინსპექტირება სახელმწიფო საგადასახადო და ფინანსური ორგანოების მიერ. ვინაიდან მთელი სააღრიცხვო და ფინანსური დოკუმენტაცია აღებული იყო შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო შემოწმების მიზნით, აუდიტის დროს კომპანიამ ვერ მოგვაწოდა დამხმარე დოკუმენტაციის ნაწილი საანგარიშებო პერიოდის შემოსავლებისთვის, ინვენტარის შესყიდვისა და გაწეული ხარჯებისთვის. შედეგად ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი მტკიცებულება შემოსავლების და ხარჯების წარმომოხსნა, სისრულისა და სიზუსტის შესახებ, ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ რა ოდენობის კორექტირებას საჭიროებს აღრიცხული თუ აღურიცხავი შემოსავლები და ხარჯები.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებით

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების პენიშვნა 17.2-ზე. რომელშიც აღწერილია რამოდენიმე საკითხი, რომელთაც შესაძლოა გარკვეული გავლენა ჰქონდეს კომპანიის მომავალ ოპერაციებზე. მათ შორის არის უკრაინაში მიმდინარე ომი, კოვიდ-19-ის შესაძლო ახალი ტალღა, საგადასახადო დავები და გამოძიება საბოლოო მაკონტროლებელი პირის წინააღმდეგ. ამ პირობებმა შესაძლოა ეჭვი წარმოქმნას კომპანიის შესაძლებლობის შესახებ - გააგრძელოს თავისი საოპერაციო საქმიანობა უწყვეტად ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ შემთხვევებიდან გამომდინარე.

სხვა საკითხი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდირებული იყო სხვა აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელმაც გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე 2020 წლის 27 აგვისტოს.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

შპს გრანტ თორნტონის სახელით


ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის # - SARAS-A-774309))

თბილისი, საქართველო

24 ოქტომბერი 2022



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,574,606	5,761,100
		5,574,606	5,761,100
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	162,796	40,402
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	160,371	76,582
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	240,289	4,125
		563,456	121,109
სულ აქტივები		6,138,062	5,882,209
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	8	6,010,000	6,010,000
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(1,110,898)	(1,178,444)
		4,899,102	4,831,556
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	289,413	166,950
სესხები		-	54,966
ანარიცხები გადასახადისთვის	9	949,547	828,737
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,138,062	5,882,209

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 26 სექტემბერი:

მერატ აქარ
დირექტორი

ქემსალ სარი
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-29 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი		2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
	შენიშვნა		
შემოსავალი	11	2,613,581	271,026
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(1,997,964)	(290,162)
მთლიანი მოგება		615,617	(19,136)
სხვა შემოსავალი	13	21,589	486,660
სადისტრიბუციო და მარკეტინგული ხარჯები		(88,913)	(8,190)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(258,011)	(150,395)
სხვა ხარჯები	15	(212,909)	(847,034)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		77,373	(538,095)
ფინანსური შემოსავალი		429	-
ფინანსური დანახარჯი		(6,745)	(3,104)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(3,511)	(626)
წლის მოგება/(ზარალი) საშემოსავლო გადასახადამდე		67,546	(541,825)
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი/(ანაზღაურება)			-
წლის მოგება/(ზარალი)		67,546	(541,825)
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)		67,546	(541,825)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-29 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ (ზარალი)	სულ
2020 წლის 1 იანვარი	10,000	(488,323)	(478,323)
წლის ზარალი	-	(541,825)	(541,825)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(541,825)	(541,825)
შერწყმა (იხ შენიშვნა 23)	6,000,000	(148,296)	5,851,704
2020 წლის 31 დეკემბერი	6,010,000	(1,178,444)	4,831,556
წლის მოგება	-	67,546	67,546
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული მოგება	-	67,546	67,546
2021 წლის 31 დეკემბერი	6,010,000	(1,110,898)	4,899,102

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-29) გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
<i>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
ლაბორატორიიდან მიღებული ფული	1,816,556	-
რეპროდუქციის ცენტრისგან მიღებული ფული	504,380	217,428
სასტუმროდან მიღებული ფული	20,004	12,819
კოვიდ-19-ის ტესტირებისთვის გადახდილი ფული	(526,456)	-
კლინიკის ინვესტირების შედეგად	(495,711)	(37,469)
გადახდილი ხელფასები	(318,690)	(58,672)
გადახდილი გადასახადები	(152,161)	(33,533)
მარკეტინგულ მომსახურებაზე გადახდილი ფული	(60,979)	(7,750)
სუროგატებისთვის გადახდილი ფული	(50,017)	-
პროგრამული უზრუნველყოფაში გადახდილი ფული	(44,152)	-
კომუნალური მომსახურებები	(41,371)	(10,563)
გადახდილი საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(22,909)	(15,342)
გადახდილი იჯარის ხარჯი	(12,000)	(3,060)
სატრანსპორტო მომსახურება	(3,701)	(857)
გადახდილი სტაციონარის ხარჯები	(3,517)	(159)
გადახდილი რემონტის ხარჯები	(3,415)	(1,900)
საკომუნიკაციო ხარჯი	(3,341)	(2,463)
საბანკო მომსახურება	(1,950)	(25)
დასუფთავების ხარჯი	(1,810)	(1,362)
გადახდილი პაციენტების მკურნალობის ხარჯები	(1,600)	-
გადახდილი ანალიზების ხარჯები	(1,830)	(8,768)
სხვა გადახდები	(121,979)	(45,831)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	473,351	2,493
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
მიღებული ფული შერწყმის შედეგად (ის შენიშვნა 23)	-	17,907
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფული	(31,890)	(1,549)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფული	2,000	-
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	47	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(29,843)	16,358
<i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>		
სესხის აღება	-	72,170
სესხის დაფარვა	(171,598)	-
გადახდილი პროცენტები	(9,323)	-
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	(180,921)	72,170
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება	262,587	91,021
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	(26,423)	(89,565)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	4,125	2,669
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	240,289	4,125

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-29 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

სს სთორქ აივიფ არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში, რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმში, მისამართი ლევ და მარია კაჩინსკის ქუჩა #1ა, სართული 5, შესასვლელი D, ბინა D405 და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 445464140

კომპანია თავდაპირველად დარეგისტრირდა, როგორც სს „ატლას მედიკალ“ (ს.ნ. 445464140) 2015 წლის 29 მაისს, შემდეგ გაერთიანდა სთორქ აივიფ-თან (ს.ნ. 4455655781) (რომელიც თავდაპირველად რეგისტრირებული იყო 2019 წლის 5 სექტემბერს როგორც სს „ბეიბი სითი“, რომელმაც სახელი შეიცვალა და გახდა სს სთორქ აივიფი 2020 წლის 10 თებერვალს). ამ გაერთიანების შედეგად ატლას მედიკალ (ს.ნ. 445464140) სახელის შეცვლა მოხდა სთორქ აივიფ-ად 2020 წლის 1 სექტემბერს.

კომპანია კონტროლდება „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯეორჯიას“ მიერ, რომელიც ფლობს აქციების 81%-ს. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საქართველო მოქალაქე გალიფ ოზთურქი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო ტურიზმი, კლინიკა წარმოადგენს რეპროდუქციულ ცენტრს.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2021 წელს არის 29 თანამშრომელი (2020 წელი: 18 თანამშრომელი).

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა, რომელიც ჩინეთში 2019 წლის დეკემბერში გავრცელდა. კორონავირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე.

მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღეს გარკვეული ზომები ეკონომიკაში კორონავირუსის გავლენის შესამსუბუქებლად. ეს ღონისძიებები, სხვა ზომებთან ერთად, მოიცავს, სესხების სუბსიდირებას პანდემიით დაზარალებული ინდუსტრიებისთვის და საშვებულებო ანაზღაურებებს.

მსოფლიოში ვითარება გამწვავდა რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შედეგად. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ჯერ არ არის მიღწეული და ომის შედეგები გლობალურ ეკონომიკაზე, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერიოდში, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ამჟამინდელი ლიკვიდურობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისთვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში აპირებს გამოიყენოს შესაბამისი ლიკვიდურობის ინსტრუმენტები.

ამ მოვლენებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

ეს ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს ზემოაღნიშნულის პოტენციურ მომავალ გავლენას კომპანიის ოპერაციებზე.

2 შედეგის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებულია, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-17 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შესაბამისა კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის.

ქვემოთ მოცემულია 2021 წელს განხორციელებული ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებსაც ზეგავლენა არ მოუხდენიათ კომპანიის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია
სხვადასხვა	საპროცენტო განაკვეთის საორიენტაციო რეფორმის ფაზა 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 16, ფასს 4, ფასს 7) შესწორებები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან, ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისას ან მის შემდეგ
ფასს 16	COVID-19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებული შედეგები 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ	1 აპრილი 2021
ფასს 3	კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ცვლილებები ფასს 3-ში)	1 იანვარი 2022
ბასს 16	შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე (ცვლილებები ბასს 16-ში)	1 იანვარი 2022
ბასს 37	დამამძიმებელი კონტრაქტი – კონტრაქტის შესრულების ფასი (ცვლილებები ბასს 37-ში)	1 იანვარი 2022
ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16	ფასს 2018-2020 ყოველწლიური გაუმჯობესება (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16)	1 იანვარი 2022
ფასს 17	სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
ფასს 4	ფასს 9-ის დროებით მიღებიდან პრივილეგიის გახანგრძლივება (ცვლილებები ფასს 4-ში)	1 იანვარი 2023
ფასს 17	ფასს 17-ისა და ფასს 9-ის პირველადი გამოყენება – შედარებითი ინფორმაცია (ცვლილებები ფასს 17-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ცვლილება ბასს 1-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 12	გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ტრანზაქციით წარმომდგომილ აქტივებსა და ვალდებულებებზე (ცვლილებები ბასს 12-ში)	1 იანვარი 2023

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.5040 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი და ერთი ევრო 4.0233 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

შენობები	- 20 წელი
მანქანა-დანადგარები	- 5 წელი
საოფისე ინვენტარი და სხვა	- 10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 10 წელი
სხვა	- 5 წელი

ვინაიდან შეუძლებელია მიწის სასრული გამოყენების ვადის დადგენა, შესაბამისი საბალანსო ღირებულებაც ცვეთას არ ექვემდებარება.

3.3 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 18.2-ში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და უმეტესი სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ობლიგაციები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილნი ბასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "ფლობის" ან "ფლობის და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით. განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ

კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლავს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 20 (ბ) დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 18.2-ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ

შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალიში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.5 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

3.6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებებში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის აქციონერების მიერ.

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.7 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

საქართველოში მოქმედი დაბეგრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

2017 წელს და შემდგომში გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადის გადახდისათვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია წინა მოდელის მიხედვით გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.8 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.9 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც კომპანია ასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას კლიენტებისთვის დაპირებული სერვისის გადაცემით.

კოვიდ 19-ის ტესტებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც კომპანია ასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას კლიენტისთვის დაპირებული სერვისის გადაცემით.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა და შენობა ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<i>თვითღირებულება</i>				
2020 წლის 1 იანვარი	-	604,372	-	604,372
შემოსვლა	-	15,302	-	15,302
შერწყმის შედეგად დამატებული	4,431,076	1,471,127	-	5,902,203
გასვლა	-	(605,666)	-	(605,666)
2021 წლის 31 დეკემბერი	4,431,076	1,485,135	-	5,916,211
შემოსვლა	6,770	27,077	38,020	71,867
გასვლა	-	(49,152)	-	(49,152)
2021 წლის 31 დეკემბერი	4,437,846	1,463,060	38,020	5,938,926
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>				
2020 წლის 1 იანვარი	-	503,098	-	503,098
შერწყმის შედეგად დამატებული	7,080	51,034	-	58,114
წლის ცვეთა	11,566	85,431	-	96,997
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	(503,098)	-	(503,098)
2020 წლის 31 დეკემბერი	18,646	136,465	-	155,111
წლის ცვეთა	79,123	152,173	2,058	233,354
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	(24,145)	-	(24,145)
2021 წლის 31 დეკემბერი	97,769	264,493	2,058	364,320
<i>საბალანსო ღირებულება</i>				
2020 წლის 31 დეკემბერი	4,412,430	1,348,670	-	5,761,100
2021 წლის 31 დეკემბერი	4,340,077	1,198,567	35,962	5,574,606

ყველა ძირითადი საშუალება დაგირავებულია, როგორც საგადასახადო გირავნობის უზრუნველყოფა 2021 წლის 31 დეკემბერისა 2020 წლის 31 (იხილეთ შენიშვნა 9).

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

5 მარაგები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
რეპროდუქციული ცენტრის სასაქონლო მატერიალური მარაგები	162,796	38,454
სასტუმროს სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	1,948
	162,796	40,402

არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგები დაგირავებულია, როგორც საგადასახადო გირავნობის უზრუნველყოფა 2021 წლის 31 დეკემბერისა 2020 წლის 31 (იხილეთ შენიშვნა 9).

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
რეპროდუქციული ცენტრის სავაჭრო მოთხოვნები	88,665	72,436
ლაბორატორიის სავაჭრო მოთხოვნები	93,123	-
სასტუმროს სავაჭრო მოთხოვნები	7,500	320
საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(36,751)	(8,181)
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	2,492	5,475
	155,029	70,050
<i>არაფინანსური აქტივები</i>		
ავანსები და წინასწარი გადახდები	5,342	6,532
	5,342	6,532
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	160,371	76,582

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

შესადარისი პერიოდებისთვის კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება შემოწმდა გაუფასურების ინდიკატორებთან მიმართებით. გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად წარმოიშობა ისეთ მომხმარებლებთან, ვინც ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან.

შენიშვნა 19 (ბ)-ში წარმოდგენილია საკრედიტო რისკთან დაკავშირებული განმარტებები, და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვთან დაკავშირებული ანალიზი. გაუფასურების დებულებების შემოადნის შედარება ეხება ბასს 39-ის შეფასების საფუძველს, სადაც გამოყენებულია მიღებული ზარალის მოდელი, რამდენადაც მიმდინარე წლის შეფასება ეყრდნობა ფასს 9-ს, რომელიც იყენებს მოსალოდნელი ზარალის მოდელს.

7 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	10,662	3,477
საბანკო ანგარიშები	229,627	648
	240,289	4,125

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

8 კაპიტალი

8.1 საწესდებო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული	ჩვეულებრივი აქციები	ჩვეულებრივი აქციები
	2021	2020
ავტორიზებული აქციები		
A კლასის ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 1 ლარი	601,000	601,000
B კლასის ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 1 ლარი	5,409,000	5,409,000
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 1 ლარი	6,010,000	6,010,000

კომპანიას აქვს ორი კლასის ჩვეულებრივი აქციები. A კლასის აქციების რაოდენობა შეადგენს 10%-ს მთლიან აქციებში, ხოლო B კლასის აქციების რაოდენობა შეადგენს 90%-ს მთლიან აქციებში. აქციონერთა კრებაზე A კლასის 1 აქცია იძლევა 15 ხმის უფლებას, ხოლო B კლასის 1 აქცია იძლევა 1 ხმის უფლებას. A კლასის აქციები ღირებულებით შეადგენს 601,000 ლარს, ხოლო B კლასის აქციები შედგება 5,409,000 აქციისგან, რომელიც რეგისტრირებულია (B) კლასის მფლობელზე, ღირებულებით 5,409,000 ქართული ლარი.

9 ანარიცხი საგადასახადო ვალდებულებისთვის

ქართული ლარი	2021	2020
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი	828,737	828,737
ანარიცხის ზრდა	120,810	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი	949,547	828,737

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტმა ჩაატარა სს სთორქ აივიფ-ის (ID 445464140) და მასთან შერწყმული სს სთორქ აივიფ-ის (ID 445565781) საგადასახადო შემოწმება, რაზეც 2020 წლის 25 სექტემბერს შედგენილია საგადასახადო შემოწმების აქტი. შემოწმდა დღგ-ის დეკლარაციაში ასახვის სისწორე დღგ-ით დასაბეგრი/განთავისუფლებული ოპერაციების კანონმდებლობის შესაბამისად. შესამოწმებელი პერიოდია 2020 წლის იანვარი.

შემოწმების შედეგების საფუძველზე, საგადასახადო ორგანოებმა გადასახადების გადახდის მოთხოვნა გაუგზავნეს სს სთორქ აივიფ-ს (ID 445464140) 67 322 ლარზე (მოთხოვნა # 081-272) და სს სთორქ აივიფ-ს (ID 445565781) 714 ლარზე (მოთხოვნა # 401). -273).

აღნიშნული საგადასახადო მოთხოვნები გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში, სადაც ისინი არ დაკმაყოფილდა და შემდეგ მათი გადაწყვეტილება გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში. დავის საგანია, უნდა ჩაითვალოს თუ არა აქტივების მიწოდების ზოგიერთი ტრანზაქცია დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებად და ცალკეულ ტრანზაქციებზე დღგ-ის ჩარიცხვის გაუქმება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2021 წლის 08 ივლისის გადაწყვეტილებით, საქმის გარემოებებისა და მომჩივნის მიერ მითითებული არგუმენტების გათვალისწინებით, საბჭო მიიჩნევს, რომ ქონების შენატანის ოპერაციიდან გამომდინარე საგადასახადო ინსპექტირების აქტით განსაზღვრულ კაპიტალს, დღგ-ის ჩარიცხვის გაუქმების საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას, რისთვისაც ამ ნაწილის საჩივარი განსახილველად უნდა დაუბრუნდეს შემოსავლების სამსახურს.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, აგრეთვე იხილოთ შენიშვნა 16.

კომპანიის მთელი ქონება და აღჭურვილობა და მარაგი დაყადაღებულია, როგორც საგადასახადო ვალდებულების გარანტია 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის (იხილეთ შენიშვნები 4 და 5).

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
რეპროდუქციული ცენტრის სავაჭრო ვალდებულებები	253,072	132,863
სასტუმროს სავაჭრო ვალდებულებები	-	4,576
მიღებული ავანსები	-	6,178
საგადასახადო ვალდებულებები	19,204	6,697
გადასახდელი ხელფასები	16,052	15,350
სხვა	1,086	1,286
	289,414	166,950

სავაჭრო ვალდებულებებზე პროცენტი არ ირიცხება

11 შემოსავალი

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი ლაბორატორიიდან	2,081,828	-
შემოსავალი რეპროდუქციული ცენტრიდან	514,780	259,797
შემოსავალი სასტუმროდან	16,973	11,229
	2,613,581	271,026

2020 წლის განმავლობაში კოვიდ-19-მა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე, პაციენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. პაციენტები, რომლებსაც კლინიკა ელოდა, რომ ეყოლებოდა, არ შეეძლოთ ან უარი თქვეს მომსახურებით სარგებლობაზე რეგულაციების გამო. 2021 წლიდან კომპანიამ დააფუძნა ლაბორატორია და დაიწყო შემოსავლის მიღება კოვიდ-19 ტესტებით.

12 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ლაბორატორიის მომსახურების თვითღირებულება	1,362,910	-
რეპროდუქციული ცენტრის მომსახურების თვითღირებულება	589,951	246,407
სასტუმროს მომსახურების თვითღირებულება	45,103	43,755
	1,997,964	290,162

13 სხვა შემოსავალი

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	478,488
სხვა შემოსავალი	21,589	8,172
	21,589	486,660

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

14 ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ადმინისტრაციის პერსონალის ხელფასები	89,209	62,497
საწვავის ხარჯები	29,724	5,251
კონსულტაცია და პროფესიული ხარჯები	25,351	27,471
პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ხარჯები	19,121	9,993
სასტუმროს მომსახურების ხარჯები	16,989	608
მანქანის იჯარის ხარჯები	14,660	27,140
ლაბორატორიის სერტიფიცირების ხარჯები	12,242	-
რემონტის დანახარჯები	4,735	1,494
კომუნალურის მომსახურების ხარჯები	3,907	1,526
კომუნიკაციის ხარჯები	3,231	2,675
სტაციონალური მომსახურების ხარჯები	2,165	586
ცვთვის ხარჯი	2,058	-
სხვა ხარჯები	34,619	11,154
	258,011	150,395

15 სხვა ხარჯები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გადასახადები ჯარიმები და საურავები (იხ. შენიშვნა 9)	120,810	828,737
საექვო ვალის ხარჯი	72,991	17,289
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	13,706	-
სხვა	5,402	1,008
	212,909	847,034

16 შემდგომი მოვლენები

16.1 საგადასახადო დავების განვითარება და ახალი შემოწმებები

2022 წლის 1 იანვარს No749 ბრძანებით შემოსავლების სამსახურმა გადაწყვიტა: სს Stork IVF (ID 445565781) სს Stork IVF-ის მემკვიდრე (ID 445464140) საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს; დაევალოს აუდიტის განყოფილებას გამოყოს დღგ-ს თანხები, რომლებიც უნდა ჩაითვალოს შენობისა და სასტუმროსთვის განკუთვნილი აქტივების შემოტანის კაპიტალური შენატანის ოპერაციების მიხედვით და აღნიშნული ოპერაციების მიხედვით დღგ-ს ჩარიცხვის გაუქმების საფუძველზე განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები. სასტუმროსთვის გამოყოფილ ფართებზე/აქტივებზე ექვემდებარება შემცირებას.

07.04.2022 No8830 ბრძანებით აუდიტის დეპარტამენტმა დანიშნა სს Stork IVF (ID 445464140) საქმიანობის კამერული საგადასახადო შემოწმება; შესამოწმებელ პერიოდად განისაზღვრა საანგარიშგებო პერიოდები 01.01.2019-01.03.2022, გარდა აუდიტის დეპარტამენტის 2022 წლის 4 ივნისის N14682 ბრძანებით გათვალისწინებული საკითხებისა; ინსპექტირების ვადა განისაზღვრა 07.04.2022 წლიდან 06.07.2022 წლის ჩათვლით.

05.07.2022 No17477 ბრძანებით აუდიტის დეპარტამენტის 07.04.2022 წლის No8830 ბრძანებით სს „Stork IVF“-ის (ID 445464140) პალატის საგადასახადო შემოწმების ვადა გაგრძელდა 09.09.09. .

16.2 აქციონერთა სტრუქტურის ცვლილება

2020 წლის 29 მარტს სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“ მარინე ბაღდასარიანსიგან შეიძინა B კლასის აქციების 22,22% (1,202,00 B კლასის აქცია). აქციების გაყიდვის შემდეგ კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა აქციების კლასის მიხედვით განისაზღვრება შემდეგნაირად

- A კლასის ჰოლდინგის აქციონერი - სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“ (404392359) – 100% - 601,000
- B კლასის ჰოლდინგის აქციონერი - სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“ (404392359) – 100% - 5,409,000

16.3 საბოლოო მაკონტროლებელი მხარისადმი წარდგენილი ბრალდებები

ამ ანგარიშგების ხელმოწერის მომენტისათვის კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება დიდი ოდენობით გადასახადისთვის განზრახ თავის არიდების, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტზე. ამჟამად იგი დაკავებულია, თუმცა აღნიშნულ შესაძლო ფინანსურ დანაშაულებებზე ჯერ ბრალი არ არის წარდგენილი და გრძელდება გამოძიება. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის კომპანიის საბანკო ანგარიშები ბლოკირებულია.

ამ მოვლენამ მთლიანობაში შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე, თუმცა მისი ეფექტის საკმარისად საიმედოდ შეფასება ამ მომენტისათვის შეუძლებელია. შეუძლებელია იმის საიმედოდ განჭვრეტა, რამდენად დიდ ხანს გაგრძელდება საგამოძიებო მოქმედებები და რა იქნება საბოლოოდ ეკონომიკური ეფექტი კომპანიაზე. შესაბამისად, ამ შესაძლო ეფექტის ასახვა ამ ანგარიშგებაში არ მომხდარა.

16.4 რუსეთის შეჭრა უკრაინაში

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ჯარებმა დაიწყეს უკრაინაში შეჭრა. მიმდინარე სამხედრო თავდასხმას მოჰყვა და განაგრძობს მნიშვნელოვანი მსხვერპლი, მოსახლეობის დისლოკაცია, ინფრასტრუქტურის დაზიანება და ეკონომიკური აქტივობის შეფერხება უკრაინაში.

საპასუხოდ, მრავალმა იურისდიქციამ, მათ შორის ევროკავშირმა, შვეიცარიამ, დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ, კანადამ, იაპონიამ და ავსტრალიამ დააწესეს ეკონომიკური სანქციების საწყისი ტრანშები რუსეთს (და ზოგიერთ შემთხვევაში ბელორუსიას). სანქციების დაწესების გარდა, მსხვილი საჯარო და კერძო კომპანიების მზარდმა რაოდენობამ გამოაცხადა ნებაყოფლობითი ქმედებები რუსეთთან და ბელორუსთან ბიზნეს აქტივობების შესამცირებლად. ეს ქმედებები მოიცავს აქტივების განკარგვის გეგმებს ან ოპერაციების შეწყვეტას რუსეთში/ბელორუსში, ამ ქვეყნებში ექსპორტის ან იმპორტის შეზღუდვას და სერვისების მიწოდების შეწყვეტას.

გარდა ამისა, სხვადასხვა საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ რამოდენიმე რუსულ კომპანიას შეუჩერდა ლისტინგი და გამორიცხული იქნენ ბაზრის ინდექსებიდან. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა დროებით შეაჩერა აქციებითა და დერივატივებით ვაჭრობა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასევე დროებით აუკრძალა უცხოელ ინვესტორებს რუსული აქტივების გაყიდვა და მნიშვნელოვანი შეზღუდვები დააწესა უცხოური სუბიექტებისთვის ნებისმიერ გადახდებზე, მაგ. ფინანსური ვალდებულებების დასაფარად.

ომი უკრაინაში და მასთან დაკავშირებული მოვლენები ხდება მნიშვნელოვანი გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობისა და მერყეობის დროს და ეფექტები, სავარაუდოდ, ურთიერთქმედებს და გააძლიერებს მიმდინარე ბაზრის ეფექტებს. ბევრი სექტორი/იურისდიქცია უკვე განიცდის სასაქონლო ფასების ზრდისა და ნედლეულის გაზრდილი ხარჯების გავლენას, რაც გამოწვეულია მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდის შედეგად COVID-19 პანდემიის შემსუბუქების გამო. მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები, რომლებიც წარმოიქმნება პანდემიის ეფექტებიდან, გრძელდება და ძლიერდება მუშახელის დეფიციტისა და სავაჭრო ხაზუნის გამო. ეს პირობები შეიძლება მნიშვნელოვნად გამწვავდეს უკრაინაში ომის ფართო ეფექტებით, გაზრდილი ინფლაციური ზეწოლა და გლობალური პოსტპანდემიური აღდგენის შესუსტება.

როგორც 17.2 შენიშვნაშია განმარტებული, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის გავლენა, რომელიც დაიწყო 2022 წლის თებერვლის ბოლოს, არ არის მნიშვნელოვანი ან კრიტიკული.

17 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

17.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებას აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალური შედეგისგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკ სამომავლოდ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

მარაგები

ხელმძღვანელობა აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას და ითვალისწინებს ყველაზე სანდო შესაძლებელ მტკიცებულებას თითოეული საანგარიშგებო პერიოდისთვის. მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიებმა ან სხვა საბაზრო ცვლილებებმა, რამაც შესაძლოა შეამციროს მომავალი გასაყიდი ფასი.

17.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელთაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული გავლენა კომპანიის მომავალ ოპერაციებზე, მათ შორის უკრაინაში მიმდინარე ომი, კოვიდ-19 გაგრძელება შესაძლოა ახალი „ტალღებით“, საგადასახადო დავები და გამოძიება კომპანიის საბოლოო ბენეფიციარის წინააღმდეგ, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ მომენტისათვის ზოგიერთი საკითხის გავლენა შეფასება შეუძლებელია (ომი უკრაინაში, კოვიდ-19 პანდემია), ხოლო სხვა საკითხებთან დაკავშირებით (საგადასახადო დავა, ბენეფიციარის წინააღმდეგ ბრალდება), თუნდაც ყველაზე ცუდ შემთხვევაში, კომპანიას მაინც ექნება შესაძლებლობა და რესურსები გააგრძელოს ოპერაციები უწყვეტ რეჟიმში. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში მსგავსი მოვლენების კორექტირება არ ხდება.

18 ფინანსური ინსტრუმენტები

18.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.4-ში.

18.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

ფინანსური აქტივები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	155,029	70,050
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	240,289	4,125
მთლიანი ფინანსური აქტივები	395,318	74,175

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სესხები	-	54,966
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	253,072	137,439
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	253,072	192,405

19 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროსო სხვაობების რისკი. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში ამიტომ უცხოური ვალუტის რისკი არ არის მნიშვნელოვანი კომპანიისთვის.

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, მათ შორის, ნაღდი ფულის, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება კომპანიის მიზნებისთვის, კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკის მართვა საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულთან მიმართებაში ხდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს ყველა სავაჭრო მოთხოვნის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, ვინაიდან ეს მუხლები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები შეფასებული იქნა ერთობლივად, ვინაიდან ისინი ფლობენ მსგავს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს. ისინი დაჯგუფებულ იქნენ განვლილი დღეების მიხედვით.

c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

ლიკვიდურობის რისკის შეფასებით და მართვით კომპანია საზღვრავს მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან. კომპანიის ფულის რესურსი და სავაჭრო მოთხოვნები აჭარბებს მიმდინარე ფულის გადინების მოთხოვნებს.

20 სამართლიანი ღირებულება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივის ან ვალდებულების; და
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

21 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მფლობელთა კაპიტალისგან, რომელიც თავის თავში მოიცავს რეზერვებს და აკუმულირებულ მოგებას.

მენეჯმენტი მუდმივად აფასებს კომპანიის კაპიტალის საჭიროებას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი).

22 გაუთვალისწინებელი გარემოებები

22.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს სრული დაფარვა მისი ქარხნის ობიექტების, საქმიანობის შეფერხების ან მესამე მხარის პასუხისმგებლობის შესახებ საკუთრების ან გარემოსდაცვითი ზიანის გამო, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ქონებაზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად ან დაკავშირებულია კომპანიის ოპერაციებთან. სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას,

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვა ან განადგურება ან გარემოს ზიანს აყენებს არსებითად უარყოფით გავლენას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

22.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი

22.3 გარემოს დაცვა

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები. თუმცა საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელმაც შესაძლოა მომავალში წარმოშვას მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

23 შერწყმა

როგორც აღწერილია 1 შენიშვნაში, 2020 წლის განმავლობაში „ატლას მედიკალ“ (ს.ნ. 445464140) გაერთიანდა სს სთორქ აივიფ-თან (ს.ნ. 445565781). გაერთიანებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შერწყმის თარიღისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ლარი	2020 წლის 23 ივნისი
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	5,844,089
	5,844,089
მოკლევადიანი აქტივები	
მარაგები	28,836
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	48,137
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	17,907
	94,880
სულ აქტივები	5,938,969
კაპიტალი და ვალდებულებები	
კაპიტალი და რეზერვები	
საწესდებო კაპიტალი	6,000,000
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	(148,296)
	5,851,704
მიმდინარე ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	87,266
	87,266
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	5,938,970

ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

24 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის ხელმძღვანელობა.

24.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია, რომელიც ფლობს კომპანიის აქციას 81%-იან. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა გალიფ ოზთურქი, საქართველოს მოქალაქე

24.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ლარი ტრანზაქციები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მშობელი კომპანია		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	579,761
მომსახურების ანარიცხი	1,370	-
სესხის მიღება	119,211	89,449
მომსახურების შესყიდვა	11,400	11,400
სესხის დაფარვა	180,921	594,661
დარიცხული პროცენტი	6,745	3,650
დაკავშირებული მხარეები		
მომსახურების ანარიცხი	5,571	-
მარაგების შესყიდვა	35,763	10,494
მომსახურების შესყიდვა	19,118	12,326

ლარი ნაშთები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მშობელი კომპანია		
მიღებული სესხი		(54,966)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(950)	(7,637)
დაკავშირებული მხარეების ნაშთები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2000	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(9,921)	(54,489)

24.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები:

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	106,298	113,243